სასამართლო პროცესზე გამოცხადების შეუძლებლობა

• ახლო ნათესავის გარდაცვალება

• პირისაგან დამოუკიდებელი მიზეზიდან გამომდინარე სხვა განსაკუთრებული ობიექტური გარემოება

მოწმესა და თარჯიმანს, სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, დაეკისრებათ ჯარიმა 50 ლარის ოდენობით.

თუ სასამართლო სხდომაზე არც ერთი მხარე არ გამოცხადდება, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

თუ სასამართლოს მთავარ სხდომაზე არ გამოცხადდება ერთ-ერთი მხარე, მეორე მხარის შუამდგომლობით სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს დაუსწრებელი გადაწყვეტილება, კერძოდ:

• მოსარჩელეს შეუძლია მოითხოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა, რა დროსაც სარჩელში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები დამტკიცებულად ითვლება, ხოლო თუ სარჩელში მითითებული გარემოებები იურიდიულად ამართლებს სასარჩელო მოთხოვნას, სარჩელი დაკმაყოფილდება. წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო უარს ეტყვის მოსარჩელეს მის დაკმაყოფილებაზე

• მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ ან სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ. თუ მოპასუხე სარჩელის განუხილველად დატოვების წინააღმდეგია, სასამართლო გადადებს საქმის განხილვას, ხოლო მოსარჩელის განმეორებით გამოუცხადებლობის შემთხვევაში გამოიტანს დაუსწრებელ გადაწყვეტილებას.

გამოუცხადებლად ითვლება აგრეთვე მხარე, რომელიც თუმცა სასამართლო სხდომაზე დანიშნულ დროს გამოცხადდა, მაგრამ უარს ამბობს საქმის განხილვაში მონაწილეობაზე.

ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში არ გამოიყენება დაუსწრებელი გადაწყვეტილების მარეგულირებელი ნორმები. სასამართლო უფლებამოსილია, მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში მის დაუსწრებლად გამოიტანოს გადაწყვეტილება საქმეში არსებული მასალების საფუძველზე, ამასთან, იგი უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით შეაგროვოს ფაქტობრივი გარემოებები და მტკიცებულებები. პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას ორივე მხარის არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში სასამართლო უფლებამოსილია სარჩელი დატოვოს განუხილველად.


საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

www.hcoj.gov.ge

E-mail: council@hcoj.gov.ge



Deutsche Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გერმანიის ტექნიკური თანამშრობლომის საზოგადოება (GTZ)

GTZ-Office Tbilisi 41,Shartava Str, 0146, Tbilisi Georgia

Herausgeben mit finanzieller Unterstützung der Deutschen Gesellschaft für Technische Zusammenarbeit (GTZ) GmbH

გამოცემულია გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების (**GTZ**) ფინანსური მხარდაჭერით



საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

2008 ©


# სასამართლოში დაბარება



სასამართლოში დაბარების წესი

რა შემთხვევაში ითვლება სასამართლო უწყება ჩაბარებულად

პასუხისმგებლობა სასამართლოში არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობისათვის


www.hcoj.gov.ge

E-mail: council@hcoj.gov.ge

# სასამართლო უწყების გაგზავნა

სასამართლოში მხარეთა დაბარება ხდება სასამართლო უწყების მეშვეობით. უწყება ეგზავნება მხარეს ან მის წარმომადგენელს. სასამართლო უწყებით სასამართლოში იბარებენ აგრეთვე მოწმეებს, ექსპერტებს, სპეციალისტებსა და თარჯიმნებს.

მხარეებს ან მათ წარმომადგენლებს სასამართლო უწყება უნდა ჩაჰბარდეთ იმ ვარაუდით, რომ მათ ჰქონდეთ სასამართლოში დროულად გამოცხადებისა და საქმის მომზადებისათვის გონივრული ვადა.

უწყება შეიძლება გაიგზავნოს მხარის მიერ მითითებულ ნებისმიერ მისამართზე (ძირითადი, ალტერნატიული, სამუშაო ადგილის) ან სასამართლოსათვის ცნობილ სხვა მისამართზე. დასაბარებელ პირს უწყება შეიძლება ჩაბარდეს ასევე სასამართლოს შენობაში.

სასამართლო უწყება შეიძლება გაიგზავნოს:

- ფოსტით
- სასამართლო კურიერის მეშვეობით
- ტექნიკური საშუალებებით (ტელეფონი, დეპეშა, ელექტრონული ფოსტა, ფაქსი, სხვა ტექნიკური საშუალება)

გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ რომელ მისამართზე გაიგზავნოს უწყება და რა ფორმით, იღებს სასამართლო.

თუ პირველად გაგზავნისას ვერ ხერხდება უწყების ჩაბარება, უწყება იგზავნება დამატებით ერთხელ მაინც იმავე ან სასამართლოსთვის ცნობილ სხვა მისამართზე.

მოსარჩელე (სარჩელის წარდგენისას) და მოპასუხე (შესაგებლის წარდგენისას) ვალდებულნი არიან მიუთითონ სწორი მისამართები. თუ მოსარჩელის მიერ მითითებული თავისი ან მოპასუხის მისამართი არასწორი აღმოჩნდა, სასამართლოს გამოაქვს განჩინება სარჩელის განუხილველად დატოვების შესახებ.

უწყების ჩაბარებაში მონაწილეობის მიღება შეუძლია თავად მხარეს. კერძოდ, მან შეიძლება თვითონ გადასცეს უწყება გამოსაძახებელ პირს ან სასამართლოსათვის წერილობითი განცხადებით მიმართვის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კურიერის გადაადგილება და მისი მეშვეობით უწყების ჩაბარება.

თუ პროცესის მონაწილეთა დაბარება სხვა გზით ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია:

- უწყების ჩაბარება დაავალოს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ანდა უბნის ინსპექტორს
- გამოიტანოს განჩინება შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

შეტყობინების საჯაროდ გავრცელება ხორციელდება სასამართლო განჩინების საფუძველზე, გაზეთის მეშვეობით. შესაძლებელია საჯარო შეტყობინების განხორციელება ინფორმაციის სხვა საშუალებებითაც, მხარის ხარჯებით.

გაზეთის საშუალებით შეტყობინების გავრცელება შესაძლებელია ასევე, თუ:

- მხარის ადგილსამყოფელი ვერ დადგინდა
- მოსარჩელის მიერ მითითებული მოპასუხის მისამართი სწორია და მას უწყება ვერ ჩაჰბარდა განმეორებითაც

## მხარისათვის სასამართლო უწყების ჩაბარება

მხარეთათვის უწყების ჩაბარების ფაქტს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს საქმის განხილვის სამართლებრივი შედეგებისათვის. უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება, თუ იგი ჩაბარდება:

- მხარეს
- მის წარმომადგენელს (წარმომადგენელი ვალდებულია უწყების ჩაბარების შესახებ აცნობოს მხარეს)
- დასაბარებელ პირთან მცხოვრებ ოჯახის რომელიმე სრულწლოვან წევრს
- სამუშაო ადგილის ადმინისტრაციას (კანცელარიას ან შესაბამის სტრუქტურულ ერთეულს)

უწყების მიმღები პირი ვალდებულია:

- უწყების მეორე ეგზემპლარზე აღნიშნოს თავისი სახელი, გვარი, ადრესატთან დამოკიდებულება ან დაკავებული თანამდებობა
- დაუყოვნებლივ ჩააბაროს უწყება ადრესატს

თუ პირი უარს აცხადებს უწყების მიღებაზე, სასამართლო კურიერი სათანადო აღნიშვნას აკეთებს უწყებაზე. ასეთ შემთხვევაში უწყება ჩაბარებულად ითვლება და სასამართლოს შეუძლია განიხილოს საქმე. ეს წესი არ ვრცელდება მოპასუხის მიმართ იმ შემთხვევაში, თუ მას უწყება პირველად გაეგზავნა არა მის მიერ, არამედ მოსარჩელის მიერ მითითებულ მისამართზე.

თუ მოსარჩელეს ან მოპასუხეს მათ მიერვე მითითებულ საკუთარ მისამართებზე უწყება განმეორებითაც ვერ ჩაბარდებათ, უწყება ჩაბარებულად ჩაითვლება.

საჯარო შეტყობინების შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება გაზეთში გამოქვეყნებიდან მეშვიდე დღეს.

თუ საქმის წარმოება სასამართლოში ერთ-ერთ თანამონაწილეს აქვს მინდობილი, უწყება ჩაბარდება მას, რომელიც ვალდებულია ამის თაობაზე აცნობოს სხვა თანამონაწილეებს და აღნიშნული ნიშნავს უწყების ჩაბარებას ყველა თანამონაწილისათვის. თუ ასეთი მინდობილობა არ არსებობს და საქმეში მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი, მოწინააღმდეგე მხარე 10-ზე მეტი პირია, უწყება ეგზავნება სარჩელზე (საჩივარზე, შესაგებელზე) ხელის მომწერ პირველ სამ პირს. უწყების ჩაბარება ერთ-ერთი მათგანისათვის ნიშნავს უწყების ჩაბარებას მის მხარეზე მონაწილე ყველა პირისათვის.

ტექნიკური საშუალებით გაგზავნილი სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება:

- ტელეფონის შემთხვევაში – ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით
- ელექტრონული ფოსტის ან ფაქსის შემთხვევაში – შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით და ტექნიკური საშუალებით დაბარების შესახებ შედგენილი აქტით

დეპეშით დაბარების შემთხვევაში სასამართლო უწყების ჩაბარება დასტურდება დეპეშის ჩაბარების შესახებ მიღებული შეტყობინებით.

მხარეები და მათი წარმომადგენლები მოვალენი არიან აცნობონ სასამართლოს საქმის წარმოების განმავლობაში თავიანთი მისამართის შეცვლის შესახებ. ასეთი ცნობის უქონლობისას უწყება გაიგზავნება სასამართლოსათვის ცნობილ უკანასკნელ მისამართზე და ჩაბარებულად ითვლება, თუნდაც ადრესატი ამ მისამართზე აღარ ცხოვრობდეს.

## სასამართლოში გამოუცხადებლობის შედეგები

დაბარებული პირი ვალდებულია გამოუცხადებლობის მიზეზი სხდომის დაწყებამდე აცნობოს სასამართლოს. საპატიო მიზეზად ჩაითვლება:

- ავადმყოფობა, რაც დადასტურებული უნდა იქნეს სამედიცინო დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტით, რომელშიც პირდაპირ იქნება აღნიშნული

www.hcoj.gov.ge
email council@hcoj.gov.ge